



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2022 წლის 6 მაისი

დისციპლინური საქმე №60/20
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2020 წლის 6 ივლისის №60 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 31 აგვისტოს №60/20 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2022 წლის 6 მაისის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური საჩივრის საფუძველიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტზე:

1.1. საჩივრის ავტორის განცხადებით მოსამართლე სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებდა პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით, რაც გამოიხატა შემდეგში:

ა) მოსამართლემ მიიღო განჩინება საქმის განხილვის საპროცესო ვადის 5 თვემდე გაგრძელების შესახებ, თუმცა არ განმარტა რატომ მიიჩნია საქმე რთულ კატეგორიად. განჩინება მიიღო დასაბუთების გარეშე, რითიც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი.

ბ) რთული კატეგორიის საქმე განიხილა ერთპიროვნულად და არა კოლეგიური შემადგენლობით.

გ) სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების თაობაზე განჩინებით არ დანიშნა საქმის ზეპირი განხილვის თარიღი, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 376-ე მუხლი.

დ) მოსამართლემ შესაგებლის წარუდგენლობისათვის არანაირ ღონისძიება არ გამოიყენა. აღნიშნულით დაარღვია თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი.

ე) მოსამართლემ უგულვებელყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 217-ე მუხლის მოთხოვნები და გააკეთა უშიშარსო მოხსენება საქმის გარემოებების შესახებ.

ვ) საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლე --- -- იყო ტენდენციური, არაობიექტურად და მიკერძოებულად მოქმედებდა მოპასუხის სასარგებლოდ. იცავდა საჯარო რეესტრის ინტერესებს.

1.2. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლემ დაარღვია საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი საქმის განხილვის ვადა. კერძოდ, 5 თვიანი ვადის ამოწურვის შემდეგ დანიშნა სასამართლოს სხდომა.

1.3. მოსამართლე -- -- არ განიხილა აპელანტების 2018 წლის 26 მარტის შუამდგომლობა მტკიცებულებების ნამდვილობის შემოწმების შესახებ. შუამდგომლობაზე კანონით დადგენილი წესით განჩინების მიღების ნაცვლად მოსამართლე პირდაპირ გადავიდა ახსნა-განმარტების ეტაპზე. საჩივრის ავტორის განმარტებით მოსამართლემ იცოდა, რომ კანონს არღვევდა. სწორედ ამიტომ დამალა შუამდგომლობის არსებობა და არ ჩაწერა სხდომის ოქმში. არ შეაფასა საქმეში წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნები. არ გამოიკვლია და არ გაითვალისწინა მტკიცებულებები. მიიღო უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2017 წლის 8 მაისს -- -- და -- -- სარჩელით მიმართეს -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე - სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ და მოითხოვეს: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს -- -- 2017 წლის 24 აპრილის №-- გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 24 აპრილის №-- გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; მოპასუხისათვის მოსარჩელე მხარის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების დავალება 100 ლარის ოდენობით.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 11 მაისის განჩინებით -- -- და -- -- სასარჩელო განცხადება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს -- -- 2017 წლის 24 აპრილის №-- გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ნაწილში, მოპასუხე - სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე მიღებულ იქნა წარმოებაში; -- -- და -- -- სარჩელი დასაშვებად იქნა ცნობილი და მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2017 წლის 7 ივლისს 13:00 საათზე.

ადმინისტრაციულ საქმეზე №--, საქმის განხილვის საპროცესო ვადა გაგრძელდა ხუთ თვემდე.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებით -- -- და -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სარეგისტრაციო წარმოების განახლების შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 24 აპრილის №-- გადაწყვეტილება, რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 24 აპრილის №-- გადაწყვეტილება და დაევალა მოპასუხეს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, სადავო საკითხთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა -- -- და -- -- 2019 წლის 9 აგვისტოს.

2.2. -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის -- -- 2019 წლის 19 სექტემბრის განჩინებით -- -- და -- -- სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად; საქმის განხილვის საპროცესო ვადა გაგრძელდა 5 თვემდე.

-- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის -- -- 2020 წლის 29 იანვრის განჩინებით -- -- და -- -- სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს -- -- და -- -- 2020 წლის 16 მარტს.

2.3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 8 ივნისის განჩინებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული -- -- და -- -- საკასაციო საჩივარი.

2.4. -- სააპელაციო სასამართლოდან წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მოსამართლე -- -- 2019 წელს განსახილველად ჰქონდა 435 სააპელაციო საჩივარი, საიდანაც დაასრულა 240 (55.5%). ამასთან 78 კერძო საჩივარი, საიდანაც დაასრულა 76 (97.4%).

2.5. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილებით, -- -- 2020 წლის 6 ივლისის №60 საჩივარზე, შუამდგომლობის კანონიერების შემოწმების ნაწილში (1.3 პუნქტი) შეწყდა დისციპლინური სამართალწარმოება, ხოლო 1.1 და 1.2 ქვეპუნქტებზე მომზადდა დასკვნა. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იმსჯელა 1.1 და 1.2 ქვეპუნქტებში მითითებულ დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტზე.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 31 აგვისტოს დასკვნა:

-- -- 2020 წლის 6 ივლისის №60 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომად შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ ის ქმედება, რომელიც ამავე ორგანული კანონით წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას და რომელიც მოსამართლის მიერ განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედების შედეგია. აღნიშნული წესი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც დისციპლინური გადაცდომის სახეების ჩამონათვალში, კერძოდ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

4.1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით.

უნდა აღნიშნოს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლი ადგენს ასევე დისციპლინური გადაცდომის არსებობისათვის სავალდებულო სხვა კუმულატიურ აბსტრაქტულ წინაპირობებს და მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის გამომრიცხველ ზოგად გარემოებებს. ამდენად, მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დასადასტურებლად „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამის ქვეპუნქტებში ჩამოყალიბებული წინაპირობების მიღმა, საჭიროა გათვალისწინებულ იქნას სხვა სუბიექტური თუ ობიექტური გარემოებები.

აქვე, დისციპლინური გადაცდომის კუთხით მოსამართლის ქმედების შეფასებისას მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებაზე, კერძოდ, სადისციპლინო კოლეგიამ ერთ-ერთ საქმეში განმარტა, რომ „დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება არის უაღრესად საფრთხილო და მნიშვნელოვანი საკითხი. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება შეიცავს სასამართლოს დამოუკიდებლობაზე ზემოქმედების პოტენციურ საფრთხეს... მოსამართლეს დისციპლინური სახდელი ეკისრება, თუ დადასტურდება მის მიერ იმ ქმედების ბრალეულად ჩადენა, რომელიც წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას. შესაბამისად, დისციპლინური სახდელის დაკისრების საფუძველი არის მხოლოდ და მხოლოდ მოსამართლის მიერ დისციპლინური

გადაცდომის ბრალეულად ჩადენა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმის ზუსტად განსაზღვრას, რომ ჩადენილი ქმედება წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას“.¹

ბანგალორის პრინციპების კომენტარების თანახმად, ინტერესთა კონფლიქტის პოტენციური შესაძლებლობა წარმოიშობა, როცა მოსამართლის (ან მისი ახლობლების) პირადი ინტერესები ეწინააღმდეგება მის მოვალეობას, მიუკერძოებლად განიხილოს სასამართლო საქმეები.²

იმისათვის, რომ მოსამართლის ქმედება მიჩნეულ იქნეს პირადი ინტერესით, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით განხორციელებულად, მოსამართლემ უფლებამოსილება ბოროტად უნდა გამოიყენოს ან/და ის უნდა მოქმედებდეს არაკეთილსინდისიერად, მიკერძოებულად, მას უნდა გააჩნდეს რაიმე პირადი ინტერესი ან უნდა მიიღოს სარგებელი კონკრეტული საქმიდან. თუ მოსამართლე დაუშვებს შეცდომას, მაგრამ დადგინდება, რომ იგი უფლებამოსილებას ახორციელებდა შინაგანი რწმენისა და კეთილსინდისიერების საფუძველზე, მიიჩნევა, რომ მოქმედება მართლზომიერად და არ გააჩნდა პირადი ინტერესი, მაშინ აღნიშნული საფუძველით მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემა დაუშვებელია.³

მოსამართლის ვალია, სამოსამართლო მოვალეობები სასამართლო განხილვის ყველა მხარის თანასწორობის პრინციპის დაცვით წარმართოს, მიკერძოებისა და დისკრიმინაციის გარეშე, მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით და ყოველი მხარისათვის სამართლიანი განხილვის უზრუნველყოფით.⁴

იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ნიშნებს, აუცილებელია შესწავლილ იქნეს საჩივარში მითითებული გარემოებები.

ა) საჩივრის ავტორი სამოსამართლო უფლებამოსილების პირადი ინტერესით განხორციელებას უკავშირებს იმ გარემოებას, რომ მოსამართლემ მიიღო განჩინება საქმის განხილვის საპროცესო ვადის 5 თვემდე გაგრძელების შესახებ, თუმცა არ განმარტა რატომ მიიჩნია საქმე რთულ კატეგორიად. განჩინება მიიღო დასაბუთების გარეშე, რითიც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი.

აღნიშნულთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქმის განხილვის ვადებს განსაზღვრავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლი, რომლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღების დღიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა.

ამავე კოდექსის 285-ე მუხლი კი განსაზღვრავს განჩინების შემადგენელ ნაწილებსა და ყურადღებას ამახვილებს იმ შინაარსზე, რასაც განჩინება უნდა შეიცავდეს.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის -- -- 2019 წლის 19 სექტემბრის განჩინებით -- -- და -- -- სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად; საქმის განხილვის საპროცესო ვადა გაგრძელდა 5 თვემდე. აღნიშნული განჩინება შეესაბამება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლით დადგენილ ფორმალურ

¹ სადისციპლინო კოლეგიის 2013 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება №1/04-12 დისციპლინურ საქმეზე

² „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“ და კომენტარები, თბილისი 2015, გვ. 99, §67

³ მოსამართლეთა პასუხისმგებლობის სისტემის ანალიზი, თბილისი 2014, გვ. 24

http://coalition.ge/files/analysis_of_the_judicial_liability_system_ge.pdf

⁴ „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“ და კომენტარები, თბილისი 2015, გვ. 173, §183

წინაპირობებს, რაც შეეხება მის დასაბუთებას, მოსამართლემ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლსა და იმ სამართლებრივ ნორმებზე, რომელთა საფუძველზეც მიიღო საპროცესო ვადის გაგრძელების გადაწყვეტილება.

ბ) საჩივრის ავტორი ასევე მიუთითებს, რომ მოსამართლემ რთული კატეგორიის საქმე განიხილა ერთპიროვნულად და არა კოლეგიური შემადგენლობით.

აღნიშნულთან მიმართებით, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის 1^ა ნაწილის პირველი პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო რეესტრის ჩანაწერთან დაკავშირებული დავების განხილვა სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლეს შეუძლია ერთპიროვნულად. ამდენად, ამ მიმართებით დისციპლინური გადაცდომის ნიშნები არ იკვეთება.

გ) სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების თაობაზე განჩინებით არ დანიშნა საქმის ზეპირი განხილვის თარიღი, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 376-ე მუხლი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 376-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ განჩინებით სასამართლო განსაზღვრავს საქმის ზეპირი განხილვის დროს, რის შესახებაც მხარეებს ატყობინებს ამ განჩინების მიღებიდან 3 დღის განმავლობაში. სააპელაციო სასამართლო იღებს კანონით გათვალისწინებულ ყველა ზომას, რათა სააპელაციო საჩივარი განხილულ იქნეს დადგენილ ვადაში.

დადგენილია, რომ -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის -- -- 2019 წლის 19 სექტემბრის განჩინებით -- -- და -- -- სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად. ამდენად, მართალია მოსამართლემ აღნიშნული განჩინებით არ დანიშნა სხდომის თარიღი, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულით მხარის უფლებები არსებითად არ დარღვეულა. აღნიშნულ გარემოებას არც საქმის განხილვის ვადის გაჭიანურება არ გამოუწვევია.

დ) რაც შეეხება შესაგებლის წარუდგენლობას, აღნიშნულთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რომ მოპასუხე მხარეს საქმეზე შესაგებელი არ წარუდგენია, თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ შესაგებლის არსებობა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სასამართლოს ეძლევა შესაძლებლობა იცოდეს თუ რა პოზიცია გააჩნია მოპასუხეს სადავო საკითხებთან მიმართებაში, ხოლო ორივე მხარის პოზიციის ცოდნა სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას ფაქტობრივად და სამართლებრივად სწორად გადაწყვიტოს საქმე.

მართალია, ადმინისტრაციული პროცესი ავალდებულებს მხარეს წარადგინოს შესაგებელი სასამართლოში, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან, ადმინისტრაციული პროცესი არ ითვალისწინებს სასამართლოს მხრიდან რაიმე საპროცესო ღონისძიების გამოყენებას იმ შემთხვევისათვის, თუკი მოპასუხე მხარის მიერ შესაგებელი არ იქნება წარდგენილი, ან დაგვიანებით იქნება შეტანილი. კერძოდ, არ მიიღება დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში არ გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავის დებულებები დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26¹-ე მუხლის პირველი ნაწილი). აგრეთვე, აღნიშნული შემთხვევა არ განიხილება მტკიცებულებების წარუდგენლობად, რა დროსაც კანონმდებლობა ითვალისწინებს ჯარიმის დაკისრებას (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის მე-3 ნაწილი).

ე) მოსამართლემ უგულებელყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 217-ე მუხლის მოთხოვნები და გააკეთა უშინაარსო მოხსენება საქმის გარემოებების შესახებ.

დადგენილია, რომ -- სააპელაციო სასამართლოში 2020 წლის 22 იანვარს სხდომა დაიწყო 12:08:05 საათზე. მოსამართლემ გახსნა სხდომა, სხდომის მდივანმა მოახსენა სასამართლოს სხდომაზე გამოცხადებულთა შესახებ. აღნიშნულის შემდეგ 12:09:15-12:11:16 საათზე მოსამართლემ მოახსენა მხარეებს საქმის გარემოებებს შესახებ, რას ასაჩივრებდნენ მხარეები და რას ხდიდნენ სადავოდ. მოსამართლის ქმედება შეესაბამებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 217-ე მუხლის მოთხოვნებს.

მნიშვნელოვანია, რომ ზემოაღნიშნული გარემოებები, კერძოდ, 3.1 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები შესაძლოა გარკვეულ შემთხვევებში ფორმალურად არ შეესაბამებოდნენ საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს, თუმცა თავისი არსით არ წარმოადგენენ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ დისციპლინური გადაცდომებს და არ შეესაბამებოდნენ ზემოაღნიშნული ორგანული კანონით გათვალისწინებულ რომელიმე კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახეს.

ვ) რაც შეეხება, საჩივრის ავტორის განცხადებას, იმის თაობაზე, რომ მოსამართლე -- -- იყო ტენდენციური, არაობიექტურად და მიკერძოებულად მოქმედებდა მოპასუხის სასარგებლოდ და იცავდა საჯარო რეესტრის ინტერესებს, აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ ბანგალორის მეორე ღირებულებაზე, რომლის თანახმადაც, მოსამართლის მიუკერძოებლობა მის მიერ თავისი მოვალეობების ჯეროვნად შესრულების აუცილებელი პირობაა. ის ვრცელდება არა მხოლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების შინაარსზე, არამედ იმ პროცესზეც, რომელიც წინ უძღვის გადაწყვეტილების მიღებას.

ბანგალორის პრინციპების 2.1 მუხლის თანახმად მოსამართლემ უნდა განახორციელოს მისი სამოსამართლო ვალდებულებები ფავორიტიზმის, მიკერძოების ან წინასწარი განწყობის გარეშე.

ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის თანახმად, მიუკერძოებლობა გულისხმობს წინასწარ შექმნილი შეხედულებებისა თუ გავლენების არ ქონას და მე-6 მუხლის მიზნებისათვის იგი შემდეგი გარემოებების საფუძველზე დგინდება: სუბიექტური ტესტით, რომლის თანახმად ფასდება კონკრეტული მოსამართლის პირადი მოსაზრებები, ქცევა - გააჩნდა თუ არა მოსამართლეს მოცემული საქმის შედეგით პირადი დაინტერესება ან ჰქონდა თუ არა მას წინასწარ შექმნილი უარყოფითი დამოკიდებულება; და ობიექტური ტესტით, უზრუნველყოფილია თუ არა სასამართლო მიუკერძოებლობის თაობაზე, საფუძვლიანი ექვების გამომრიცხავი სათანადო გარანტიები (Fey v. Austria §28 და §30; Wettstein v. Switzerland, §42). სადაც რთულია მოსამართლის სუბიექტური მიუკერძოებლობის შესახებ პრეზუმციის საწინააღმდეგო მტკიცებულების მოპოვება, ობიექტური მიუკერძოებლობის მოთხოვნები მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს (Pullar v. the United Kingdom, §32).

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მოსამართლის მიუკერძოებლობა განმარტებულია, როგორც „მოსამართლის მიერ წინასწარ შექმნილი აზრის არ ქონა“. მოსამართლე საქმის განხილვისას, არა მხოლოდ უნდა იყოს მიუკერძოებელი, არამედ, გონიერი დამკვირვებლის თვალშიც უნდა აღიქმებოდეს ასეთად. შესაბამისად, ვინაიდან მართლმსაჯულების სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის განმტკიცება წარმოადგენს მართლმსაჯულების ლეგიტიმურობის გარანტიას, ნებისმიერი წინაღობა, რომელიც საფრთხეს უქმნის ამ რწმენას უნდა იქნეს გამორიცხული და ნებისმიერი მოსამართლე, რომელთან მიმართებითაც ვერ იქნება მიუკერძოებლობის აღქმა უზრუნველყოფილი, აცილებულ უნდა იქნეს საქმის განხილვისაგან. საქმეზე MORICE v. FRANCE სასამართლომ აქცენტი გააკეთა ობიექტურობის ტესტზე და განმარტა, რომ არ არსებობს მკაფიო გამიჯვნა სუბიექტურ და ობიექტურ მიუკერძოებლობას შორის, ვინაიდან მოსამართლის ქცევამ შეიძლება არა მხოლოდ გამოიწვიოს ობიექტური უნდობლობა მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით გარე დამკვირვებლის თვალში (ობიექტური ტესტი), არამედ შეიძლება შეეხოს მისი შინაგანი რწმენის საკითხს (სუბიექტურობის ტესტი). ნებისმიერი მოსამართლე,

რომლის მიმართ არსებობს ლეგიტიმური მიზეზი ვივარაუდოთ, რომ ის არ არის სრულიად მიუკერძოებელი, უნდა ჩამოსცილდეს საქმეს.

დადგენილია, რომ მოცემულ საქმეზე სასამართლოს სხდომა გაიმართა 22 იანვარს, ხოლო სარეზოლუციო ნაწილი გამოცხადდა 29 იანვარს. მოსამართლის მხრიდან რაიმე სახის ტენდენციურ მიდგომას, ან რომელიმე მხარისადმი უპირატესობის მინიჭებას ადგილი არ ჰქონია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების პირადი ინტერესით განხორციელება არ დასტურდება.

4.2. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლემ დაარღვია საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი საქმის განხილვის ვადა. კერძოდ, 5 თვიანი ვადის ამოწურვის შემდეგ დანიშნა სასამართლოს სხდომა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაკატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.“

იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს ადგილი მნიშვნელოვანია განისაზღვროს რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაკატიო მიზეზით არსებითი დარღვევა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ ვადის არსებითად დარღვევის მიზეზი არასაკატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადა უშუალოდ მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებულ ობიექტურ გარემოებათა (საქმეთა სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ დაიცვა.

საპროცესო ვადის არსებით დარღვევაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო) იყენებს.

შესაბამისად, საქმის განხილვის ვადების გონივრულობა უნდა შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრაქტიკით დადგენილი შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- 1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (*Katte Klitsche de la Grange v. Italy*, §55; *Papachelas v. Greece*, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (*H. V. United Kingdom*, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (*Humen v. Poland*, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (*Lupeni Greek Catholic Parish and others v. Romania*, §150);
- 2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (*Koenig v. Germany*, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (*Acquaviva v. France*, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას;
- 3) საქმის განხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (*Pafitis and others v. Greece*, §93; *Tierce and others v. San Marino*, §31; *Suermeli v. Germany*, §129).

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlander v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany; §98).

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ) სასამართლო დროის მენეჯმენტის SATURN-ის განახლებული სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად აღნიშნავს, რომ საქმეები არ უნდა განიხილებოდეს შეუსაბამოდ ხანგრძლივად. აგრეთვე, ზოგიერთი გარემოების არსებობისას, ისინი არ უნდა განიხილებოდეს შეუსაბამოდ ხანმოკლე დროში, თუ ეს დააზიანებს მომხმარებელთა სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლებას.⁵

სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობის განსაზღვრა საქმის გარემოებების გათვალისწინებით ხდება, რაც მთლიანი წარმოების შეფასებას გულისხმობს (Boddaert v. Belgium, §36). მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა წარმოების გარკვეული ეტაპები მისაღები ტემპით მიმდინარეობდა, წარმოების მთლიანმა ხანგრძლივობამ შეიძლება მაინც გადააჭარბოს „გონივრულ ვადას“ (Dobbertin v. France, §44).

სასამართლომ აქტიური როლი უნდა შეასრულოს სამართალწარმოების დროულ წარმართვაში. თუმცა, ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს რა, რომ მართლმსაჯულება იყოს სწრაფი და ეფექტიანი, ხაზს უსვამს, რომ ამით არ უნდა დაზარალდეს მართლმსაჯულების სწორად (სათანადოდ) განხორციელების პრინციპი (Von Maltzan and Others v. Germany (dec.) [GC], §132), რომელიც სამართლიანი სასამართლოს უფლების უფრო ზოგადი პრინციპია.⁶

საპროცესო ვადებზე საუბრისას მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქმის განხილვის შესაბამის ვადებზე, რადგან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვემდე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 376-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ განჩინებით სასამართლო განსაზღვრავს საქმის ზეპირი განხილვის დროს, რის შესახებაც მხარეებს ატყობინებს ამ განჩინების მიღებიდან 3 დღის განმავლობაში. სააპელაციო სასამართლო იღებს კანონით გათვალისწინებულ ყველა ზომას, რათა სააპელაციო საჩივარი განხილულ იქნეს დადგენილ ვადაში.

დისციპლინური გადაცდომის კუთხით მოსამართლის ქმედების შეფასებისას არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტის დადგენას, თუ რამდენად შეუწყო ხელი მოსამართლის ქმედებებმა საქმის განხილვის გაჭიანურებას, საქმის განხილვის საერთო ვადასთან მიმართებით.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ 2019 წლის 19 სექტემბრის განჩინებით -- -- და -- -- საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად. სასამართლოს სხდომა გაიმართა 2020 წლის 22 იანვარს - საქმის წარმოებაში მიღებიდან 4 თვისა და 2 დღის შემდეგ, ხოლო საქმის განხილვა დასრულდა 4 თვესა და 9

⁵ მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ), სასამართლო დროის მენეჯმენტის SATURN-ის განახლებული სახელმძღვანელო მითითებები (მე-2 რედაქცია), სტრასბურგი, 2014 წლის 12 დეკემბერი, გვ. 2

⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 23 თებერვლის განჩინება, საქმე №ას-1234-1175-2014

დღეში. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ სხდომა დაინიშნა სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღებიდან 4 თვის შემდეგ, საქმის განხილვის კანონმდებლობით დადგენილი საერთო ვადას დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრისას მხარს დაუჭერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 6 მაისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ათმა წევრმა, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური დევნისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის საფუძვლები.

შესაბამისად „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის მეორე პუნქტისა და 75¹³ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75¹³ მუხლის პირველი პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

დისციპლინურ საქმეზე №60/20 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი